

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 აპრილის № 833 ბრძანებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №104

ქ. გურჯაანი

2019 წელი 5 ივლისი

სატენდერო კომისიის შემადგენლობა:

- არჩილ ხანდამაშვილი – კომისიის თავმჯდომარე, მერი;
წევრები:
სიმონი ქოჩორაშვილი – მერის პირველი მოადგილე;
ვლადიმერ მუსალბიშვილი – ეკონომიკის სამსახურის უფროსი;
კონსტანტინე ბერიძიშვილი – მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის
სამსახურის უფროსი;
ნატო გონგაძე – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
ნანა ჭაბუკაძე – იურიდიული სამსახურის უფროსი.
სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა:
ნინო ქაჩლიშვილი – ეკონომიკის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი.
ბიჭიკო მაისურაძე – ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის
ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი

დღის წესრიგი:

ელექტრონული ტენდერის საშუალებით სოფელ ბაკურციხის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება;

კომისიამ განიხილა:

სატენდერო კომისიამ იმსჯელა სამუშაოების მიწოდების ვადის და ხარჯთაღრიცხვის არარესურსული ფორმით გაფასების შესახებ. სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს და აღნიშნეს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მეთხოვნებს. კენჭისყრის შედეგად (6 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) კომისიამ დაადგინა

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით სოფელ ბაკურციხის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია, სავარაუდო ღირებულებით 312595 ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადა განისაზღვროს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღით, ხოლო სატენდერო წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი - 3000 ლარი.
2. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის საფუძველზე ელექტრონული ტენდერი ჩატარდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე, აბრევიატურით - NAT.
3. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სისტემაში ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე:

ა. ხანდამაშვილი

წევრები:

ს. ქოჩორაშვილი

კ. ბერიძიშვილი

ვ. მუსალბიშვილი

ნ. გონგაძე

ნ. ჭაბუკაძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ნ. ქაჩლიშვილი

ბ. მაისურაძე